

სსიპ

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

21.04.2010 № 50

თბილისი

ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტთათვის პრეზიდენტის
სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის შესახებ

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის გრანტებისა და სტიპენდიების მინიჭების პროგრამის“ ქვეპროგრამის – „პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს“ დამტკიცების შესახებ 2010 წლის 1 მარტის N151 ბრძანების საფუძველზე და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 16 აპრილის N225 დადგენილების შესაბამისად სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთათვის აღნიშნული სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სტუ-ს ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებს დაენიშნოთ პრეზიდენტის 150 -ლარიანი სტიპენდია 2010 წლის პირველი მარტიდან პირველ აგვისტომდე 5 კალენდარული თვის განმავლობაში, ამ ბრძანებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;
2. პრეზიდენტის სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიების მიერ, წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სწავლების (ECTS) I,II, III და IV წლის სტუდენტებს, რომლებსაც 2009-2010 სასწავლო წლის ზამთრის სესიების შედეგების მიხედვით (სტუ-ს რექტორის 2009 წლის 20 ოქტომბრის N133 ბრძანებით განსაზღვრულ საგამოცდო სასესიო ვადებში, 2010 წლის 9 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით) აქვთ მაღალი რეიტინგი, არანაკლებ 91%-ისა, შეიძლება დაენიშნოთ პრეზიდენტის სტიპენდია;
4. პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შერჩევასა ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში თანაბარი რეიტინგის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვ. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;

5. თუ რომელიმე ფაკულტეტზე ამ ბრძანებით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის გამო გაუნაწილებელი დარჩა სტიპენდიები, ისინი გადაეცემა საკმარისი რეიტინგის მქონე სხვა ფაკულტეტის სტუდენტებს;
6. ამ ბრძანების შესაბამისად სტიპენდიანტთა ოდენობის განსაზღვრა მოხდეს ფაკულტეტებზე ზაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისად, სტუ-ს ზაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობებიდან (2009 წლის 20 ოქტომბრის მდგომარეობით):

სამშენებლო ფაკულტეტი – 13 სტუდენტი,
ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი – 22 სტუდენტი,
სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 8 სტუდენტი,
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 14 სტუდენტი,
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი – 20 სტუდენტი,
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი – 6 სტუდენტის,
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი – 48 სტუდენტი,
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 39 სტუდენტი.

7. სტიპენდიანტთა შერჩევის შედეგები გამოიკრას შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
8. ფაკულტეტების საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე მომზადდება და გამოიცემა რექტორის ბრძანება პრეზიდენტის სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე;
9. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
10. ამ ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს.


რექტორი




ა. ფრანგიშვილი

ვიზები:


რექტორის მოადგილე

სასწავლო დარგში  ლ. კულიძე

სწავლების დეპარტამენტის

უფროსი  ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის

უფროსი  ზ. მაისაშვილი